

შინაური საქმეები.

№ 14.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

შოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 15 აპრილი 1912 წელი

ყოველ-კვირეული გაზეთი

შინაური საქმეები

სულას მარჯვენა მიდგება რედაქციის, ქ. ქუთაისში (საბურთალოს) კაზაკოვის შენობის (№ 17). და თბილისში კომპლექტორს სომხის ბაზარში, სომხისაწის ქუჩის მდებარეობა. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	წახ. წელი:	სამა თვე:	ერთი თვე:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შტრატაა წლიური ხელის მომწოდების შეილება ასე განაწილდეს: თვიურად 2 მ. და 1 იენის 2 მ. განსაკუთრების ფასი წინა გვერდზე პეტროლ სტოქჰოლმი ორი შაური, ტრანსკელზე 7 კ. ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1) ჯამბაკურ დავითისძე გურიელი (ორმოცის შესრულების გამო) — რედ.-ისა; 2) ყოვლადსამღებლო ლეონიდის ღვთაებობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად — №-სა; 3) მატერიალიზმი; 4) სინოდი და საქართველოს ეკლესია — გაზ. „მეცნიერება“ № 150; 5) საეკლესიო კრების წინ; 6) კიდევ თ. ყორღანის გარშემო — გუბაზორის პირელისა; 7) ქველმოქმედება — დეკ. ი. წერეთელისა; 8) საბლერის პასუხი; 9) სიჩუმე ყოველთვის თანხმობის ნიშანი არ არის — ხელისა; 10) შინაური მიმოხილვა — გულკეთილისა; 11) წერილები რედაქციის მიმართ.

†
ჯამბაკურ დავითისძე გურიელი

შაბათს, 14 აპრილს შესრულდა 40 დღე მას შემდეგ რაც ამ მუხთალ და დაუნდობელ წუთისოფელს გამოეხალმა ჩვენი საქმობლოს ბრწყინვალე წოდების ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ნეტარსენებული თავადი ჯამბაკურ დავითის ძე გურიელი. განსვენებული არ იყო უმადლეს სასწავლებელ კურს დასრულებული, რითაც ამაყობს დღევანდელი კაცობრიობა, არ იყო ჩინტემლაკებით მხარმკერდ გადაქრელებული, არ იყო პოეტი, მწერალი და ცნობილი მოღვაწე, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი არ იყო მეტი ბარგი საზოგადოებისათვის, იგი საქირო და ფრიად საქირო წვერი იყო მისი. იგი მოღვაწე იყო, თუ გნებავთ, მაგრამ ისეთ მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნოდა, რომელთა მოღვაწეობა არ ყვირის, არ სჩველეს ადამიანის თვალებს, არამედ ჩუ-

მათ, დაფარულათ და შეუმჩნეველათ აკეთებს თავის მადლიან საქმეს. არიან ასეთი მოღვაწეები ყოველ ხალხში, და იგინი არიან მარილნი ქვეყანისანი, რომელნიც ინახვენ ხალხს გახრწნისაგან, როგორც მარილი ხორცს. რამდენიც უფრო მეტია ასეთი ადამიანები, იმდენათ უფრო მრთელია საზოგადოებრივი არგანიზმი, ხოლო ასეთი ადამიანების სიმცირე საზოგადოების გახრწნის, დაცემის და, უკეთეს შემთხვევაში, გადაგვარების მომასწავებელია.

რაც გამამხნეველი, გამარჯობარდებელი, აღმაფრენი სული შემოაქვს საზოგადოებაში ასეთ კაცებს, როგორც იყო განსვენებული ჯაბა. ასეთი ადამიანების გამრავლება ეხლაა საქირო ამ ჩვენ სულით დატემულ დროში, ჩვენ სასოწარკვეთილების დროს, როცა ყველას ხელი მოუშვია და არავინ განძრევას არ აპირებს, ყველა ღრმა ძილს მისცემია, და არავის არ სურს წამოიხედოს, რა ზდება ქვეყნიერებაზე, არავინ არ კითხულობს მიზეზს ამ საღათის ძილისას. ჯერ მხოლოდ ერთი მისი გარეგანი შეხედულება გვიღვიძებდა იმდეს, რომ ქართველი ერი, რომელიც ასე ლამაზათ ჩამოუქანდაკებია შემოქმედს, არ მოკვდება, როგორც არ მოკვდება იდეა მშენიერებისა. ამასთან თავის უბრალოებით და უმაღლეს ხარისხამდე კეთილშობილური სათნო ხასიათით განსვენებული ყველას იზიდავდა, ყველას რაღაც შინაურათ, რაღაც თავისიანათ, საკუთრათ მიაჩნდა და ისიც ფართოთ სარგებლობდა ამ თავის ხასიათის ძვირფას თვისებით. ვისაც კი შეხედებოდა, გარდა ჩვენ დიპლომათ პედანტებისა, რა თქმა უნდა, ყველას მიესალმებოდა, ყველას გამოჰკითხავდა შინაურ გარემოებას და შესაფერ დარიგებას მისცემდა, რომლის დროს პირველ ადგილს, ყოველთვის უპირატესობას გამამხნეველ სიტყვებს აძლევდა. ხშირათ შეხედებოდათ განსვენებულს ქუჩის მუშასთან მოსაუბრეს. „ნუ გეშინია“, იყო პირველი მისი მისამართი სიტყვა, ღმერთი მოწყალეა, ყოველი პატიოსანი შრომა მისგან ნაკურთხია, იმრომე ერთგულათ და ნუ დაკარგავ იმედს საუკეთესო მომავალზე. შენი შრომა არაფრით უმ-

ძიმესი არ არის სხვების შრომაზე, რომლებიც, შეიძლება, მხოლოდ გარეგულ შეხედულებით არიან შენზე უფრო ბედნიერი. პატიოსანი შრომა ადამიანს შიმშილით არ მოკლავს და ყოველ შრომასაც ხომ ეს აქვს ბოლოს და ბოლოს მიზნად.“ შეხედებოდა განსვენებული მოწაფეს ამოუდგებოდა გვერდში და ტკბილ მუსაიფში ახლა ამას ამხნევებდა და აქებებდა თავის საქმეზე. ვაქარს, მოვახ შე ურიას, მეურმეს, ყველას, ყველას მოუსმენია ჯაბასაგან შესაფერი დარიგება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, და ვერავინ წინააღმდეგში ვერ დაგვაჯერებს, რომ ამ დიდებული ხასიათის და მიმართულების მექონმა ადამიანმა მძლავრი გავლენა იქონია ორ თავის ახლო ნათესავების თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების ხასიათის და მიმართულების განვითარებაზე.

ეხლა უნდა გენახათ, როგორ ხმარობდა განსვენებული თავის გავლენას პროვინციულ მალალ სფერებში და საზოგადოთ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა. ვინ იცის, რამდენი პატიოსანი მუშაკი არ დაიღუპებოდა, რამდენი ნიჭი არ დაიმარხებოდა ჩვენ პატარა ქუთაისში, რომ ჯაბას ხელი არ შეეწყო მათთვის. იგი მხათ იყო ყველასთვის შველის ხელი გაეწვდინა, თუკი მისი სიტყვა და გავლენა სადმე და ვისთანმე გასჭრიდა. მისი გავლენის მეოხებით ბევრი დღეს პურსა სქამს და ცოტათ თუ ბევრათ სამშობლოსაც არგია. და განა ეს ცოტა სამსახურია ქვეყნისთვის? განა ეს ერთგვარი მოღვაწეობა არ არის? განსვენებული გამსქვალული იყო სამშობლოს სიყვარულით და ყოველივე მშობლიური ახარებდა მის კეთილ გულს.

მხოლოდ ერთი რამ უხამაედა განსვენებულის სულს—სარწმუნოების დაცემა ჩვენში, უცხო წესწყობილების და ჩვეულების შემოტანა ხალხის ამ წმიდათა წმიდაში. წირვა გადაგვარდა, აღარ ვიცით რა პლანზე სწირავენ; გალობა აღარ გვესმის მამა-პაპურიო. ღმერთო, შეგცოდე, საყდარში სიარული შემძულდა, ვერსად ქართულ წირვა-ლოცვას ვერ გაიგონებ, აღარ არიან ძველებური არც მღვდლები და

არც ბერებში; ყველასფერი კარგია ახალი წირვა-ლოცვა კი ძველებური უნდა, მისი შეცვლა კეთილს არ დაგვაყრისო.

მაღე ივიწყებს ხალხი ჯაბასებურ მოღვაწეებს, მაგრამ მათგან გაკეთებული მადლიანი საქმე რჩება საშვილიშვილოთ და ნიადაგს უმზადებს მომავალ თაობას. ღმერთო გვიმრავლე კეთილმოღვაწენი!

რედ.

ყოველადსამღვდელთა ღვთისმშობლის ქოცხა-ურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად.

(გაგრძელება¹⁾)

ტირრლი იწყება დილის რვა საათიდან და გმელდება საღამომდე. მიცვალებულის დასაფლავებას საღამომდინ არ შეიძლება. აქ არც ერსა და არც სასულიერო პირს არ ასვენებენ ეკლესიაში წირვაზე, როგორც ეს მიღებულია ქართლ-კახეთში. საღამოს სამ ან ოთხ საათზე მიცვალებულს სახლში შეუსრულებენ წესს და სახლიდან პირდაპირ დასამარხავად წასვენებენ. შესანიშნავია, რომ, როდესაც სამღვდლოება წყებულობს ანდერძის აგებას, ხალხის მომეტებული ნაწილი შორდება მიცვალებულს და თავისუფლად დასეირნობს გარეთ, ასე-რომ თითქმის არავის ყურადღებას არ იზიდავენ მიცვალებულის ანდერძის წესის შესანიშნავი სიტყვები.

შეუჩვეველ კაცზე მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ამდენი უაზრო ცერემონიები და სრული დამკირება ეკლესიური წესებისა.

როგორც დანამდვილებით შევეჩვეეთ, მათ მეუფებას განზრახული აქვს ამ მანე ჩვეულების მოსპობა.

სწორეთ რომ დროა და ვუსურვებთ, რომ აქაც ისე გამარჯვებული დარჩეს ერის მოსიყვარულე მწყემსმთავარი, როგორც იმერეთში!

1) იხ. „ზინ. საქ.“ № 12—13.

2) მეგრულათ, „ღე“ ნიშნავს კუთვნილებას, საკუთრებას, როგორც ქართულათ „სა“; მაგალითად „საწერეთლო“, „საერისთო“ ანუ „სამეგრელო“ და სხ.

ს. ზანაში მათმა მეუფებამ გადასწყვიტა ივლისის ოცდა ათს დათვლიერება ლესიკინესი,²⁾ ოჩხომურის, ჩხოროწყუს და ლეჯიქეს მრევლებისა.

ლესიკინეს ხის ორ შტატიანი ეკლესია ღარიბი და მოუწყობელია. ეკლესიის ეზოში კაცს მუხლზე სცემდა ბალახი და არსად არ ეტყობოდა კაცის ფეხი. თვით ამ დღესაც ძალიან ცოტა ხალხი მოსულიყო. აქ მღვდელი საკმაოდ შეგნებული კაცია, მაგრამ, როგორც ეტყობა, სამსახურის ერთგულებას ვერ იჩენს და ამის გამო ხალხის გული ვერ მოუპოვებია. მღვდელმთავარმა მისცა მას ჯეროვანი დარიგება, და დაავალა წირვა-ლოცვის მუყაითად შესრულება, ხალხთან ბაასობა ზნეობის და სარწმუნოების საკითხების შესახებ და გააფრთხილა, რომ თუ არ გაგიუმჯობესებია დღევანდელთან შედარებით მრევლის მდგომარეობა, უმცირეს ალაგზე იქნები გადაყვანილიო.

შტატის ეკლესიას ზედმიწერილი ეკლესია აქვს. ეს ეკლესია ქვიტიკირისაა; დიდი ხანი არაა, რაც აუშენებიათ, მაგრამ უვიც ოსტატს დაუხურავს და წვიმის წყალი ახდენს გარედან კედლებს.

ეკლესიას არა აქვს კანკელი და საეკლესიო სამკაულები. ხალხმა ითხოვა ამ ეკლესიის გაშტატება და მისმა მეუფებამ აღუთქვა შუამდგომლობის გაწევა, როდესაც მრევლი შეიძენს ყველასფერს, რაც აუცილებლათ ესაჭიროება ეკლესიას.

ოჩხომურის³⁾ ეკლესია ძველი დროის ქვიტიკირის შენობაა. მაში არა თუ ღირს შესანიშნი რამ, არამედ აუცილებელი საჭირო ნივთებიც კი არ მოიპოვება. ეკლესიის სიღარიბეს თვალსაჩინოდ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ახალი ბარძიმი ვერ შეუძენია და ღვდლები ხმარობენ ძირგახვერტლ ძველ ბარძიმს, რომელსაც ხან კვეს დააკვუნ ხოლმე და ხან წმინდა სანთელსა. ს. ოჩხომური, როგორც დაბლობზე და წყლის პირათ

3) ჩხომი მეგრულათ თევზს ნიშნავს; აქედანვე წარმოსდგება „ლექხომი“, (ლექხუმი) და „ოჩხი“, რომელსაც ქართლში თევზის დასაჭერათ აკეთებენ.

მდებარე მეტად ნოტიო ალაგია; ამიტომაც, რომ აქ ღვდლები დიდხანს ვერა სძლებენ და ხშირად იცვლებიან. ასეთი გარემოებისა გამო მრევლს აღარ უჩრჩება გულშემატკივარი მზრუნველი და ეს უპატრონობა ძალიან ეტყობა, როგორც კელესიას, ისე სამრევლო საქმეებს.

შარშანდელი დიდი თოვლისაგან ოჩხომურის სამრევლო სკოლის ხის შენობა ჩანგრეულიყო და მთელ მრევლში კაცი არ გამოხსულა, რომ იანვარში დანგრეული სახლის ფიცრები მაისში, ან ივნისში მაინც მოეგროვებია და მშრალათ შეენახა! ეპისკოპოსმა იკითხა, რა არის ეს ფიცრები, რომ მოუბნევიან ეზოში და, როდესაც გაიგო საქმის გარემოება, გული ამოუჯდა მწუხარებისაგან, სასტიკად დატუქსა ბლაღოჩინიც, მრევლიც და მამასახლისიც და იმავე დღეს მშრალად დაალაგებინა მასალა.

უნდა შევნიშნო, რომ სამეგრელოს სოფლის სკოლებს სულ არ მოეპოვებათ გულ-შემატკივარი პირები. ან ვის მოეთხოვება ეს გულ-შემატკივრობა, თუ არა მასწავლებლებს, მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ ამ „სოფლის მარტლს“ მარტლობის ძალა არ ახლავს! რა უნდა გამოდნეს ისეთი მასწავლებლისაგან, რომელსაც რის ვაი ევაღახით შეუსწავლია რუსული ასოების გამოყვანა და გაუვლია მხოლოდ მიღებული რუსული სახელმძღვანელოები. თითონ რომ არა იციან რა, სხვას რას ასწავლიან ასეთი პირები!

ასეთებია თითქმის ყველანი, ვისაც სწავლა მიუღია ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში.

წარსულ ზაფხულში ყოვლადსამღვდელო ლეონიდთან მოვიდა ჩოხა-ხანჯალში გამოწყობილი ახალგაზდა კაცი და მიართვა თხოვნა. ახალგაზდას თხოვდა მის მეუღლებას შორეულ ნათესავ ქალზე ჯვარის წერის ნებართვას. ეპისკოპოსმა უბრძანა მთხოვნელს ქართულად ამინსენით რა ნათესაობა არის თქვენსა და თქვენგან არჩეულ ქალს შორისო. მთხოვნელი გაჩუმდა, თითქოს ვერ გაიგონა ეპისკოპოსის კითხვაო. ეპისკოპოსმა უფრო ხმა მაღლა გაუმეორა მას იგივე სიტყვა, მაგრამ არც ახლა დასძრა კრინტი მთხოვნელმა. მესამეთ შეეკითხა მას მღვდელმთავარი და ახალ-

გაზრდამ რუსულათ უბასუხა, — არ მესმის რას მეკითხებითო. გაკვირვებული ეპისკოპოსი შეეზოდინა: უკაცრავათ, რუსი ყოფილხარ, მაგრამ შენმა ტანისამოსმა და დამტკრეულ რუსულით დაწერილმა თხოვნამ შემაკდინეს და მეგრელი მეგონეო. არა, მე მეგრელი ვარ, ჩემი გვარი ქობალია, ჩემს სამშობლოს არ გავცილებივარ, დღესაც ჩემ სამშობლოში ვმოღვაწეობ, ვმასწავლებლობ ხორშის ნორმალურ სასწავლებელში, მაგრამ ქართული არ ვიცი, რადგანაც ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც კურსი დავამთავრე. ქართულს არ გვასწავლიდნო. ყოვლადსამღვდელომ გაჰკიცხა და უთხრა, ცხოვრებაში მაინც უნდა გესწავლა სამშობლო ენაო, უმფროსისაგან აკრძალული მაქვს ქართული ენის შესწავლა და მის ბრძანებას ვერ გავტეხო, იყო პასუხი.

შეწუხებულმა მღვდელმთავარმა უთხრა მთხოვნელს, ჯვარის წერა ხომ ქართულათ უნდა შეგისრულონ და, აბა, რა უნდა გაიგო, რამ უნდა გაგიტბოს გული, შე საწყალოეო! დაუჯერებელია ყველა ეს, ფაქტი რომ არ იყოს და თითონ მე რომ დამსწრე არ ვიყო მისი!

ზუგდიდის მაზრა, როგორც აფხაზეთი, თხლათ არის დასახლებული, კი მანძილი უნდა გაიაროთ, რომ ერთი სოფლიდან მეორეში მიხვიდეთ. მიწა ბლომითაა, მაგრამ მცხოვრებლების უკულტურობისა გამო, დაუმუშავებლათ არის დატოვებული.

იშვიათად შეხვდებით ვაზის და ხილის ბაღებს, იშვიათი სანახავია აგრეთვე ბოსტნეული; ზოგგან, ვგონებ, კომპოსტოს და კარტოფილის სახელიც არ გაუგონიათ. მხოლოდ ალაგ-ალაგ თვალს მოჰკრავთ ეზოში პრასის, კალამფხლის და ყვითელი ყვავილის კვლებს, რომელსაც აქ ზაფრანას ეძახიან.

აქაური ხალხი უფრო სიმინდის, ლობიოს, და კვახის მოყვანას მისდევს. პურს, ქერს, და ლომს იშვიათათ ნახავთ, ბალახის თესვაზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ. რომ ურჩიოთ—მიწა დიამუშავეთ ვენახები და ხეხილის ბაღები გააშენეთ, პური და ქერი

თესეთ, პირში მოგაძახებენ: ჩვენებური მიწა ეწერია, მასზე არაფერის მოყვანა არ შეიძლებაო. აბა დაუთმეთ მაშ ეს მიწები შრომის მოყვარე რაქველებს და ნახავთ, როგორ ააყვავებენ აქა-ღობას. მიწა დიდებულია, მხოლოდ ხალხს არ უყვარს შრომა და უფრო სასახელოთ მი-ჩნია უქმათ ყოფნა.

ზუგდიდის მაზრაში ერთობ გახშირებულია პაპიროსის და ჩიბუხის წვეა, ბან-ქოსა და ნარდის თამაში. ნარდს თითქმის ყველა მღვდლის ოჯახში ნახავთ, ქართლ-კახეთში და იმერეთში კი ნარდი დიდი იშვიათობაა მღვდლის სახლში.

მეგრელები საზოგადოთ ძალიან სტუმართ მოყვარულნი არიან, მაგრამ ამ მხრივ ზუგდიდის მაზრის მეგრელები ყოველ ზომას აკარბებენ. თუ კი სტუმარი ეწვიათ, მისთვის ძროხასაც დაჰკვლენ, თხასაც, ხბოსაც, გოჭსაც, ბატსაც, იხესაც, ინდაურსაც, ქათამსაც, ერთი სიტყვით, არაფერს არ დაზოგავენ. შესანიშნავია რომ ყველა ზემოხსენებული პირუტყვების თავებს სუფრაზედვე მოგართმევენ. ქამის დროს მასპინძელი ფეხზე დგას და თითონ ემსახურება სტუმარს.

შემდეგი იქნება.

მატერიალიზმი. ¹⁾

(გაგრძელება.)

ჩვენ ჯერ კიდევ არ შევხებხვართ მატერიალიზმის უფრო სუსტ მხარეს. მატერიალისტური მსოფლმხედველობა სრულიად უარყოფს სამ უძლიერეს ძალას — სარწმუნოებას, სასოებას და სიყვარულს, რომელთა გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს მხოლოდ ცხოველურ ლტოლვილებას სასმელ-საჭმელის უზრუნველყოფისათვის, ბრძოლას ნივთიერ კეთილდღეობისათვის.

მატერიალიზმს სიყვარული სრულიად გამორიცხული აქვს მსოფლიდგან. მისთვის იგი სხვა და სხვა გვარ ნივთიერებათა შორის ძლი-

ერ არეული მიმზიდველი ძალაა, რაღაც ქიმიური ნათესაობაა.

ქვეყანა უსიყვარულოთ! ეს ხომ მკვლელებით გატენილი ორმო იქნებოდა! ეს ხომ სინათლის მოსპობის სადარი იქნებოდა! რა აიძულებს მილიონ ადამიანებს დღე და ღამე იმუშაონ კოლშვილის გამოკვეთებისათვის? მათთვის ხომ უფრო ადვილი იქნებოდა უსიყვარულოთ სიცოცხლე! საიდან ხდება, რომ მილიონი დედები დღე და ღამე, ყოველ თვე, ყოველ წელს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავდავიწყებით იღვწიან, რომ აღზარდონ ეს პატარა არსებები, გამოკვებონ იგინი, იზრუნონ მათთვის, ან გაორკეცებულ სიყვარულით უარონ თავის ავითმოფ, დასახიჩრებულ შვილებს, რომლებსაც ანაქ მომავალში არაფერს მოელოან! რატომ არის, რომ ეს მილიონი ბავშვები, რომლებსაც არა თუ არაფრის გაკეთება, არამედ სიტყვის თქმაც არ შეუძლიათ, ბედნიერყოფენ მშობლებს ერთი მხოლოდ თავის ღიმილით? ნუ თუ ეს მხოლოდ მატერი-ალურ, ქიმიურ ზეგავლენის შედეგია? როგორ ავხსნათ, რომ ათი ათასი ქალი და კაცი დაუ-ღალავათ იღვიძებენ ავითმოფის ლოგინთან, უხვევენ წყლულებს და დებულობენ მომაკვდავთა უკანასკნელ ამონაკვნესს? და რატომ არის, რომ სიცოცხლის ენერჯისა და ძალების ასეთი, არა თუ უმიზნო, არამედ მატერიალიზმის შეხედულობით პირდაპირ მავნებელი, ხარჯი სწვდება ჩვენს გულს და თვით ხენგშ ადამიანსაც კი აღუძრავს პატივისცემას? რა არ უქნია სიყვარულს ქვეყანაზე დღიდგან ადამიანის გაჩენისა? — იგი ამყარებდა და ანგრევდა ქალაქებსა და მთელ სამეფოებს, აწარმოებდა ომსა და მორიგებას! მატერიალისტს ამაზე არაფრის თქმა არ შეუძლია და მან ან უარი უნდა სთქვას იმაზე, რომ მისი მსოფლმხედველობა ყველაფერზე პასუხს იძლევა, ანა და უნდა აღიაროს, რომ არიან რაღაც სულიერი, არა-ნივთიერი ძალები, რომლებიც ამოძრავებენ ქვეყანას.

ამ ძალებს ეკუთნის სარწმუნოებაც. სარწმუნოების ძალაზე ერთმა ცნობილმა ბუ-

¹⁾ იხ. „ზინ. საქ. № 12—13.

ნებისმეტველმა შენიშნა, რომ იგი, მართლა მოებს ამოძრავებს, მაგრამ აქამდის ვერ შეიძლებს მისი მოხმარება მექანიკაშიო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ვინც ღია თვალებით ჩახედავს ისტორიაში, დაინახავს, რომ სარწმუნოება მთებზე უფრო მეტს რასმე ამოძრავებდა. რომელმა მექანიკურმა ძალამ გადაიტანა ათასობით ხოლმადები ევროპიდან აზიაში ჯვაროსანთა ომის დროს? რამ აიძულა 1496 წელს სამი პატარა ესპანელი ხომალდი წასულიყო უცნობ მიზნისაკენ ჯერ კიდევ გამოუკვლევებელ და შეუსწავლელ გზით ატლანტიდის ოკეანეში? სხვამ რამ, თუ არ ადამიანის რწმენამ, რომელიც (ადამიანი) მთელი საათობით ნავის თავზე იდგა იმის მოლოდინში, თუ როდის ამოჰყოფს წყლიდან თავს ის საოცნებო მხარე, რომლის არსებობა, წინააღმდეგ ყველა მსწავლულებისა, მას მტკიცეთ სწამდა!

რწმენა, რომელიც ურწმუნოს წარმოდგენილი აქვს, როგორც რაღაც ბუნდოვანი და უძლიერი, ამ რწმენას ფაქტიურათ არა ერთგზის წამოუყვია თავი მძლე ფაქტორად (მოქმედ პირათ) მსოფლიო ისტორიაში. ამის უარისყოფა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ვერ მიახწიეს თვის ლოდიკურ აზროვნების ისეთ განვითარებას, რომ სულიერი ძალები აღიარონ ყოველ მოვლენის — ნივთიერისაც კი — ნამდვილ მიზეზათ.

მაგრამ თვით მატერიალიზმი ჩუმ-ჩუმათ თითონაც ფართოთ სარგებლობს სარწმუნოებით. მას სწამს ბევრათ თუ ცოტათ დაუჯერებელი და თხოულობს, რომ სხვებსაც სწამდეს იგი. ასეთი აზრები, როგორც არიან: „ნივთიერი ვერ იქონიებს გავლენას ნივთიერზე“ (შპილდერი); „აზრი ნივთიერების მოძრაობაა“ (მოლენშოტი) და სხ. არიან სარწმუნოებით მიღებული დოღმატები, რადგან მათი დამტკიცება არავის არ შეუძლია.

სასოებას (იმედს) მატერიალიზმი სრულიად არ ეხება; ასეთი სიტყვა სრულიად არ არსებობს. მატერიალისტის ცხოვრებაში ადგილი არ აქვს იმედს. პირველი მდიდარიც ვიყო ქვეყანაზე, უმაღლესი სახელითაც ებრწყინავედ,

დიდებული მეცნიერიც ვიყო და ამით სრული კმაყოფილიც, — მაინც დღეს თუ ხვალ კიდევ შეიძლება, რომ ჩემმა სასახლის ექიმმა მითხრას: „ჩემო ძვირფასო, თქვენ ტვინის ანთება დაგმართნიათ, ან წყალმაკი გიჩნდებათ, აქ მეტი ალარაფერი შველის!“ ამ შემთხვევაში ხომ მთელი ჩემი სიცოცხლე ბნელდება და მომავალში მომელის მხოლოდ შიში, ტანჯვა, მწუხარება და ბოლოს სიკვდილი. მაშინ არავითარ მეცნიერულ მყვირალა ფრაზებს არ შეუძლია ჩემი ნუგეში. ყოველივე შავია და ბნელი ჩემი სულის წინაშე.

და ეს ადამიანები, რომლებიც აქრობენ სიწყვარულის ლამპარს ცაში, სასოებისა და სარწმუნოების ვარსკვლავს დედამიწაზე, ეს ადამიანები თავის თავს მეცნიერათ და სინათლის წინასწარმეტყველათ სახავენ! და ჩვენ, ქრისტიანებს კი, რომლებსაც გვწამს სამარადისო ღმერთი და საუკუნო ცხოვრება, რეგვენ ფარისეულების და ცრუმორწმუნეების სახელით გვენათლავენ!

შემდეგი იქნება.

სინოდი და საქართველოს ეკლესია.*

(დეპუტატ ე. გვეგეკორის სიტყვა სახელმწიფო სათათფიროში 7 თებერვალს 1912 წ.)

ახლა გადავდივარ ჩემი სიტყვის მეორე ნაწილზე. როდესაც ამ მხრივ გაისმის მოწოდება უცხო ხალხთა და სხვა სჯულის მექონეებთან საბრძოლველად მართლმადიდებელი სარწმუნოების და ეკლესიის განსაღიღებლად, ზოგიერთ მხატვ ქულის ადამიანებს ესრეთი ლაღდება გულწრფელად მიაჩნიათ, იმათ გონიათ მართლ-მადიდებელ ეკლესიის ინტერესებს ვიცავთო, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, ბატონებო, ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენლების მოქმედებას თვით მართლ-მადიდებლებში, მაშინ ადვილათ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ მათთვის მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, მართლ-მადიდებელი რელიგია მიზანი კი არაა, არამედ იარაღია პოლიტიკური ბრძოლისათვის. საქირო იმ ნაციონალისტური იდეების გასა-

*] ამ სიტყვის ზოგიერთ ადგილების შესახებ რუდაქცია თავის აზრს შემდეგ ნომერში გამოსთქვამს.

ტარებლად, რომელნიც ამ ჟამად მემარჯვენეთა ორგანიზაციების დროშაზე აღბეჭდილი. რომ ეს ასეა ამის დასამტკიცებელია ისტორიული ბრძოლა, რომელსაც ეწევა უწ. სინოდი მართლ-მადიდებელ საქართველოს ეკლესიასთან. ეს ისტორია საინტერესოა, ბატონებო, საქართველოს ეკლესიის თვალთახედვის ისრით კი არა, არამედ იგია საზოგადოთ დამახასიათებელი სახელმწიფოს მართვა გამგეობის ტრადიციანალური სისტემისა. მე, რასაკვირველია, არ გამოვალ პირისპირ საქართველოს ეკლესიის დამცველად, ეს ჩემის მხრით ულოლიკობა და შეუფერებლობა იქნებოდა, მისთვის რომ ჩვენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები ვებრძვით საქართველოს ეკლესიას და ბრძოლა შემდეგშია ც გაგრძელდება იმავე ღონისძიებით, რომლითაც ჩვენი ამხანაგები ებრძვიან რუსეთში. მე არ წამოვაცენებ აგრეთვე ამ ეკლესიის ავტოკეფალობას, ვინაიდან ავტოკეფალობის მოთხოვნილებანი არ შეესაბამება იმ პრინციპიანულ მდგომარეობას, რომელზედაც მე ვდგევარ, არ ეგუება ჩვენს მოთხოვნილებას ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისას, მაგრამ ჩვენ, ბატონებო, ვიცავთ სინიდისის თავისუფლებას, არა შიშისათვის, არამედ სინიდისისათვის. ჩვენ ვერ „დავსდებთ საცოლ“ პირსა ჩვენსა“, როდესაც ვხედავთ გმობას და ქირღვას ადამიანის სინიდისის და ქართველი ერის ისტორიულ ნაციონალურ ავლა დიდებისას, მას შემდეგ რაც ერთი ბიუროკრატიული კალმის მოსმით გენერალ ტორმსოვის წინადადებით ფეხ ქვეშ გაითელა ღვთის და ადამიანის კანონები და კანონიური წესები, რომლების მიხედვით, რამდენათაც ვიცით, სულიერი მამები უკრძალავენ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობას კრების ნება დაურთველათ; ივერიის ეკლესიამ 100 წლის წინეთ დაჰკარგა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ განიცდის უსასტიკესს დაცინვას და ძალმომრეობას. არამც თუ საქართველოს ისტორიის ყველა მკვლევარნი საზოგადოთ და კერძოთ საქართველოს ეკლესიისა, რომლებიც ავტოკეფალობის მომხრენი არიან, არამედ ისეთი ცხადი მტრებიც საქართველოს

ეკლესიისა, როგორც არიან მაგალითად ვოსტორგოვი, ოსტროუმოვი, დეკ. ბუტკევიჩი, საქართველოს ეკლესიას აღიარებენ ერთად ერთ უძველეს ქრისტიანულ ორგანიზაციასთან, რომელიც კულტურულად ისე მაღლა იდგა, რომ ნ—ნ საუკუნის განმავლობაში შინაგან განხეთქილების მიუხედავად, მონასტრებით მოიფინა წმიდა ქვეყანა, სინა, შავი მთა ანტიოქიის ახლო, ათონი. ვერაინ უარჰყოფს, რომ მას საკუთარი ენა აქვს, საკუთარი გარდმოცემანი, მოწამენი, ერთი სიტყვით შეეკულია ყველა იმით რაც იგულისხმება მართლმადიდებელ ეკლესიის სახელით. ყველა ავტორები, რომელთაც შეუსწავლიათ წარსული და აწუყო ისტორია ამ ეკლესიისა, ნამდვილი წყაროებით ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეკლესიამ შესძლო დაცვა და გატანა ვაივაგლახში მართლ-მადიდებელი ეკლესიის ყოველივე განსაკუთრებული ნიშნებისა. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ერთი ისტორიკოსის ახლანდელ ექსარხოის ინოკენტის აზრს. უძველეს ქართულ სიონის ტაძარში პირველად მან წარმოსთქვა: „განსაცვიფრებელია, რომ ამდენ ვაივაგლახსა და უბედურებაში ქართველმა შეინარჩუნა და დაიცო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება ურწმუნოებში, არ შესუსტდა... არ განქარდა... წმინდა დროშის მეოხებით მართლ-მადიდებელმა გაუძლო და გაიტანა მამა-პაპური სარწმუნოება მრავალ საუკუნოების ტანჯვა ვაების დროს“. ასე ამბობდა ოფიციალური წარმომადგეველი უწ. სინოდისა ჩვენში და ასე ეგონებოდა კაცს, ვინც თავ-გამოდებულა მართლმადიდებლობისათვის, მოწიწებით ქუდს მოიხდიდენ იმ ეკლესიის ორგანიზაციის წინაშე, რომელმაც გაუძლო და დაიცო აქ ხელ უხლებლად ორგანიზაცია ამ ეკლესიისა, ამავე დროს შემოძლია თამამად ესთქვა და მე მგონია ამაში დამეთანხმება უწ. სინოდის ობერ პროკურორი საბლერიც, რომელსაც მშვენიერად იცნობენ საქართველოში, როგორც პოპედონოსკვის თანამშრომელს, რომ საქართველო ასი წლის განმავლობაში გმობისა და ძალ-დატანე-

ბის მეტი არ უნახავს, რა აკრძალულია აქნამდისინ ქართულ ტაძრებში ქართულ ენაზე ღვთის-მსახურების შესრულება, ართმევედენ ტაძრებს, საუნჯეს, სასაფლაოს, აგზავნიდენ ცივ ქვეყნებში და ითხოვდენ თანამდ-ბობიდან ეპისკოპოსებს რუსიფიკატორობის წინააღმდეგობისათვის და რადგან ისე არ აზროვნებდენ, როგორც ამას მოითხოვდა ვოსტორგოვი და მისი მსგავსი ანაფორსანი მოხელეების მართლმადიდებლობა და მოღვაწეობა. იქნება თქვენ გგონიათ მე აქ ვაზვიადებდე რამეს? მე გათხოვთ, მოისმინათ ნათქვამი იმ ადამიანისა, რომელიც ქართველების მომხრეთ არ ჩაითვლება. სტატიაში — „რას შვრებოდენ საქართველოში“ ღურნოვო სწერს: „ბირველმა ექსარხოხმა თეოფილაქტემ გამოსთხოვა ნებართვა უწ. სინოდს ქართლ-კახეთ, იმერეთ, გურია-სამეგრელოში რამდენიმე ეპარქიების გაუქმებისათვის, გაიძარცვა ძვირფასი საღარო სიონის ტაძრისა... (მარჯვნიდან ხმები: ვისგან? ექსპროპრიატორებიდან?)... მე ვიმედოვნებ ამ შემთხვევაში მომეხრობა ბ. საბლერი, თუ ინებებს ის ჩემს შემდეგ გამოსვლას (ტაშის ცემა მარცხნიდან). ხატების შესამოსს შემოძარცვეს მარგალიტები, ბრილიანტები და სხვა ძვირფასეულება. დაიკარგა მრავალი ოქროს ჭურჭელი, სასწაულთმოქმედი ღვთის შუობლის ხატის ჯვრები, რომელნიც დროებით საღაროში იყო დაცული. „ნუ თუ, სწერს იგივე ღურნოვო, ვერ ხედვენ ამას...“

რუსეთის იერარქიამ მსხვერპლად შესწირა, დაღუპა ქართველები, ასე რომ ამ მხრივ მათ წინ გაუსწრეს სპარსელებს და იურქებს რომელნიც ენას არ გლეჯდენ ქართველებს. მე უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ქვეშარიტება დაღადებს ღურნოვოს პირით, რადგან მრავალ საუკუნოების განმავლობაში საქართველომ ნახა ჰირი ლანგ-თემურის, აღამახამედ ხანის შემოსევით, მაგრამ მაინც მოასწრო დაცვა იმ სიძველისა, რომელიც გაიტაცეს რუსის მოხელეებმა. მე არ მინდა თქვენი ყურადღება დაექანცო საინტერესო ციტატების ამოწერით ღურნოვოს წიგნიდან, სადაც დამნაშავედ გამოი-

ყავს ვოსტორგოვი, ექსარხოხი და სხვა და სხვა პირნი საქართველოში; არ ჩამოვთვლი იმ ფაქტებს, რომელთა განხილვით აშკარა ხდება დევნა რუსეთის ეკლესიიდან ყოველივე მისი, რასაც ქართული ბეჭედი აზის. აღარც იმას მოვიხსენებ, რომ ქართულ ტაძრებში რუსის ეპისკოპოზები რუსულ ენაზე წარმოსთქვენ ქადაგებას. და მლოცველ ქართველთ ამ ქადაგებას თარჯიმნები უთარგმნიან; არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას იმ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომელიც მოთხრობილი იყო ყველა გაზეთებში; რომ ბოდბის მონასტერში, სადაცაა ნაშთი წმ. ნინო, ქართველთ განმანათლებელისა, როდესაც ქართველი მოხუცი დედა-კაცები თვალ-ცრემლიანი ემუდარებოდენ რუსის ეპისკოპოზს ბრწყინვალე აღდგომის მაინც მოვისმენდეთ წირვას ქართულ ენაზეო, ეპისკოპოსმა კეთილი რჩევა მისცა მათ — შეესწავლათ რუსული ენა. არ მოგავგონებთ აქ შესახებ მისა, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტფილისში გამოცხადდა საჯარო გაყიდვა ქართული სასულიერო სემინარიის შენობისა; ეს ეცოდინება უეჭველად ბ. საბლერსაც; იყო შემთხვევა აგრეთვე ქართული სასაფლაოს გაყიდვისა; არ ჩამოვთვლი აგრეთვე იმ ფაქტებს, რომლებიდანაც მტკიცდება ეპისკოპოსების და საქართველოს ეკლესიის სხვა და სხვა წარმომადგენლების დევნა, სხვათა შორის ეპისკოპოს კირიონისა, რომელსაც წაერთვა ეპარქია ვოსტორგოვის წყალობით, გაგზავნეს ცივ ქვეყნებში და დღემდის მონასტერში დაპატიმრებულია და ეს მეხი დაატყდა თავს ყველასაგან პატივცემულ საქართველოში ეპისკოპოსს მისთვის, რომ მან ვაბედა და ხმა აიძალა 1906 წელში და მოითხოვა ავტოკეფალობა კრების წინასწარ სხდომებზე.

ფაქტები უთვალავია. მე მოვიყვან კიდევ ერთ ფაქტს, თუმცა წერილმანს, მაგრამ მნიშვნელობას არ მოკლებულს.

ამ დღეებში ყველა გაზეთებში იყო მოთხრობილი ერთი ამბავი სოფელ დ. ტფილისის ვუბერნიის, გორის მაზრიდან, რომ ახლად იქ რუსის ექსარხოხისგან განწესებულმა რუსის

მღვდელმა გამოუცხადა თარჯიმნების პირით ქართველებს, რომ ის ათქმევინებს მათ აღსარებას რუსულ ენაზე და ქართველებს, რუსულის ენის არ მკოდნეთ, შეუძლიათ კოდვების მონაწილეობა ქართულად, რადგან ღმერთმა ყველა ენები იცისო. ვანა ეს სარწმუნოების პროფანაცია არაა, ბატონებო ეს ვანა საიდუმლო აღსარების პროფანაცია არაა? მე მოგახსენებთ, ბატონებო, რომ ვარდა სარწმუნოების პროფანაციისა ესაა და ცინვა ყოველივე ღვთაებრივ, კაცობრვ და ნაციონალური უფლებისა (ხმები მარცხნივ: მართალია,) და ამის წინააღმდეგ, ბატონებო, მე გამოვსთქვამ ჩემ უღრმეს გულის წყრომას და მე შგონია ყველა რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მე თანამიგრძობს (ტაშის ცემა მარცხნივ): საქართველოში, სამსაჯულოს მოსამსახურეები მსჯელობენ რუსულ ენაზე თარჯიმნების პირით, შკოლებიდან განდევნილია ქართული ენა და სწავლება ვგრეთ წოდებულ მუნჯურ — მეთოდით სწარმოებს, ისიც თარჯიმნების პირით და აწი აღბათ მღვდელმოქმედება და მიცვალებულის დასაფლავება აგრეთვე თარჯიმნების პირით შესრულდება. მე ხელთ მაქვს ამ ჭამად, ბატონებო, ერთი წიგნაკი, რომელსაც სახელად ეწოდება „მოგონება ქართული სასულიერო სემინარიის რუსის მასწავლებლისა“. მე მოვიყვან ამ წიგნაკის წინასიტყვაობიდან რამოდენიმე სტრიქონებს, აი რასა სწერს ეს რუსის მასწავლებელი: „არა აღმზრდელია“, ამბობს იგი, „არა სიყვარული, არამედ გარყვნილება, მძულვარება და უდიდესი ვაება შეიტანეს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა ქართულ სემინარიაში და იქიდან მთელს საქართველოში“. პოლიტიკას ამოფარებულნი, ისინი თავისთვის სცხოვრობდენ და ნამეტნავად ღუპავდენ საქართველოს და რუსეთის საქმეს კავკასიაში, ატყუებდენ ისინი უმაღლეს მთავრობას თავის მოქმედებით. 1900 წლამდე ქართულ სემინარიაში 300 მოწაფეზე მეტი იყო, ვარდა მეორე, ქუთაისის სემინარიისა, ისიც ქართულისა, რომელიც დაიკეტა 1905, წ. კურსს ათავებდენ ქართველები 50-მდე. 1901 წლიდან კი ქართულმა სემინარიამ უკან უკან

დაიხია: ყოველივე ამბოხების გარეშე — ბერი — რექტორები აუარებელ ქართველებს რიცხავდენ. მიზეზი გამოირიცხვისა იყო პატივის მოყვარეობა აღმატებულობის საშოვნელად. ამნაირად მოგმართავთ თქვენ, გლეხებო, და გეტყვით, როდესაც მოგიწოდონ საბრძოლველად მართლ-მადიდებლობისათვის, მაშინ მოიგონებთ საქართველოს ეკლესიის ისტორია და უთხარით: პირმოთენო, იქ რას შვრებოდითქო? მე ვიცი, ბატონებო, რომ თქვენი კითხვა „დარჩება ხმად მხოლოდ მღალადებელის უდაბნოსა შინა“, ისინი თქვენ ვერ გიპასუხებენ, მისთვის რომ მათი, პასუხი თუ გულწრფელი იქნა ასეთი უნდა იქნეს: მართლ-მადიდებლობა ჩვენთვის არის მხოლოდ საპოლიტიკო ბრძოლისათვის საშვალეობა და ამ საშვალეობით ჩვენ იქით წავალთ, საითკენაც ჩვენი ინტერესები მიგვითბთენ. ბატონებო, იმ ხალხმა, რომელთაც ამ მდგომარეობამდი მიიყვანეს სარწმუნოება და ეკლესია, დაბოლოს პირმოთენობის ნილაბი უნდა ჩამოიხსნან, რადგან ნილაბი ჩამოხსნეს მათ. ნამდვილ მათ სახეს, ფიზიონომიის თუ ვერ ხედავთ, ეს იმისათვის, რომ თქვენი თვალები ისე არ იხედება, როგორც უნდა იხედებოდენ და ან შეგნებულად არ გინდათ დაინახოთ ის, რაც არის. ამნაირად, ბატონებო, ასეთი სამღვდელოებით ეკლესია შორს ვერ წავა. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, რომ ის ეამი ახლოსაა, როდესაც მთელი გლეხობა და ყველა უცხო ერები დაინახვენ ამის მიზეზს. (ტაშის ცემა მარცხნიდან).

(Звезда № 150.)

საეკლესიო კრების წინ.

აწინდელ კრების წინასწარ საბჭოს საქმის მაწარმოებელს საეკლესიო ისტორიის დოქტორს რუნკევიჩს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პირველი კრების წინასწარი საბჭოს შრომის ცნობაში მოყვანა, თომას კვირეში უნდა დაემთავრებია მინდობილი საქმე. ეს შრომა წარედგინება საბჭოს პირველვე სხდომაზე.

პირველ რიგზე სდგას საკითხი ეკლესიის მთავარ მართველობაზე და კერძო სამიტროპოლიტო ოლქებზე და მიტროპოლიტების უფლებებზე, რომლებიც ეხლა მხოლოდ პირველობენ ეკლესიაში, გარნა მოკლებული არიან ყველა ძველ სამიტროპოლიტო უფლებებს, რომლებსაც ანიჭებს მათ კანონები.

სამიტროპოლიტო ოლქები ძლიერ სასურველათ არის მიჩნეული იმ აზრით, რომ განთავისუფლდეს საეკლესიო ცხოვრება და კერძო ოლქები იმ წამებისაგან, რომელსაც მიუცილებლად ჰქმნის საეკლესიო მართველობის ცენტრალიზაცია. სამიტროპოლიტო ოლქის მართველობას სათავეში უნდა დაუდგეს მიტროპოლიტი და სამიტროპოლიტო კრება. ასეთ კრებებს მიენიჭება მწყემსმთავრის უფლებები.

ასეთი ოლქები უნდა დაარსდეს ისეთ ადგილებზე, რომლებსაც აქვს ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელობა. ასეთია მაგ.: ციმბირი, სადაც კიევის ეპისკოპოსის ფლაბიანეს აზრით ორი სამიტროპოლიტო ოლქი უნდა გაიხსნას, აგრეთვე სამიტროპოლიტო ოლქები უნდა გაიხსნას: მოსკოვში, კიევში, ვილნაში, პეტერბურგში, ხარკოვში, თბლისში და ოიდესაში ან ყირიმში.

რაც შეეხება მიტროპოლიტის უფლებებს, იგი უპირატესია პატივითა და უფროსობით ოლქის ეპისკოპოსთა შორის, იგი იწვევს თავის ოლქის ეპისკოპოსებს კრებებზე, ამზადებს საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქმნენ ამ კრებებზე, თვით თავმჯდომარეობს ამ კრებებზე. აქვე ირჩევს საეპისკოპოსო კანდიდატს და ხელდასხმას ოლქის ეპისკოპოსებს.

ეპისკოპოსების არჩევა ეკუთვნის კრებას, რომელსაც თაოსნობს მიტროპოლიტი.

წინანდელმა საბჭომ სასურველად სცნო ერსაც მიეღო მონაწილეობა ეპისკოპოსის არჩევნებში, კანდიდატების დასახელებით მაინც, დღევანდელ საბჭოსაგან კი სრულიად მოულოდნელია ასეთი აზრის მიღება.

ძრიელ საყურადღებო საკითხია საერო მართებლობის ჩარევა ეპისკოპოსთა დანიშვნის დროს. პირველ კრების წინასწარ საბჭოში ამის

შესახებ გამოითქვა სამი სხვადასხვა დებულება: 1) სახელმწიფო მართველობა კი არ უნდა ამტკიცებდეს, არამედ თანხმობას უნდა აცხადებდეს დამტკიცებაზე; 2) ხელმწიფე ამტკიცებს მიტროპოლიტს, ხოლო არჩევა და დამტკიცება ეპისკოპოსთა მიტროპოლიტის პასუხის გებაშია, და 3) ხელმწიფეს, როგორც ეკლესიის მფარველს ეკუთვნის უფლება ეპისკოპოსების დამტკიცებისაც.

კიდევ თ. ჟორდანის გარშემო.

მსოფიანებაში მყოფს და უკვე კალო გალენილს თ. ჟორდანის ახლა მოუფიქრებია სახელის აღდგენა, ახლა მოსწყურებია თავის გამართლება და სამშობლოს ერთგულ შვილის წოდებით გამგზავრება საიქიოს.

„სახალხო გაზეთში“ დასტამბული წერილებით ბ. ჟორდანამ აცნობა ქართველ საზოგადოებას, რა დეაწლი და შრომა მიუძღვის მას ქართული ენის სწავლების დაყენებაში თბილისის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიაში, გურია-სამეგრელოს და იმერეთის სამრევლო სკოლებში და სხ. და სხ. ჟორდანის ნათქვამი რომ მართალი იყოს, იგი ნამდვილათ სათაყვანო გმირი იქნებოდა და მადლიერ ჩამომავლობას უკვდავების ძეგლი უნდა აემართა მისთვის, მაგრამ ძნელია თ. ჟორდანის ნათქვამზე დანდობა, რადგანაც დიდი ხანია თ. ჟორდანია სინონიმი გახდა სიყალბისა. ამას წინეთაც წარბ შეუხრელად გვარწმუნებდა ყველას—ვოსტორგოვის პროგრამა სკოლებში არ გამიქაჯანებიაო და ნაქულობაქვევლო მოძღვარმა კი უტყუარი საბუთების გამოქვეყნებით დაგვანახვა, რომ რუსიფიკატორობაში ვოსტორგოვს მასწავლებლობას გაუწევს თ. ჟორდანია.

თქვენს უმორჩილეს მონას ხელში ჩამოვარდა ოზურგეთის მაზრის ს. ექაძის სამრევლო სკოლის 190⁴/₅ სამოსწავლო წლის სა-

კლასო ჟურნალი და აი რა ფერადებით გვისურათებს იგი თ. ჟორდანიას ფიზიონომიას:

190¹/₅ г. Ноябрь 3. Русский языкъ. 1-я группа „Пила“ (32 стр. рус. азб.); Ноябрь 4. 1-я Группа „Лиса“ (35 стр. рус. азб.); Ноябрь 5. 1-я Группа „Сани“ (33 стр. рус. азб.); Ноябрь 9 1-я Группа „Оса“ (33 стр. рус. азб.) Ноябрь 11. 1-я Группа „шило“ (34 стр. рус. азб.) და ასე ამ გვარად ბოლომდე.

ამაზე ბძანებს თ. ჟორდანია ვოსტორგოვის პროგრამა არ გამიქაჩანებია გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო შკოლებში! დიან, ვოსტორგოვი უფრო ღმობიერი ყოფილა ვიდრე ჟორდანია და ათასჯერ უკეთესი იქნებოდა, რომ ჟორდანიას თავისი პროგრამის მაგივრათ ისევ ვოსტორგოვის პროგრამა შეეშვა გურიის და სამეგრელოს შკოლებში!

თ. ჟორდანიას თავისი საქმის პირუთენელი დაფასება მიუხდვია ჩვენი სიყვარული და სასიქადულო მღვდელთმთავარი დავითისათვის, მაგრამ რა ქნას პატიოსანმა მსაჯულმა, თუკი მას ხელთ არ ექნება საქმეზე შუქმომფენი მასალა. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ესეთი მასალა ყოვლადსამღვდელო დავითმა შეკრიბოს. ერთი რომ შიშისა და შორიდების გამო მასწავლებლები ვერ გაბედავენ ხმის ამოდებას და მეორე, თუ ვინმე აცნობა რამე მის მეუფებას, უსათუოდ რამდენადმე მაინც სიმართლეს მოკლებული იქნებიან ეს ცნობები, რადგანაც ჩვენ დანამდილებით შევიტყვეთ, რომ თ. ჟორდანიას მიუმართავს კერძო წერილებით თავის ყოფილ მოწაფეების და ხელქვეითებისთვის ხევწნა-ვედრებით: გაიხსენეთ ჩემი მოხუცებულობა, ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენი მასწავლებელი ვიყავი, ყელს ნუ გამოჰკრით, ჩემს საწინააღმდეგოს ნურასაფერს ნუ იტყვით, „დამიფარეთ კაკალი მეგრელი მეჭორე ქართლებსიგან და ინტრიგან იმერლებისგან“, თორემ თუ ჩემ წინააღმდეგ წადით ან ორივე თვალებით დაბრმავდებით, ან კუუაზე შეიშლებით, ან ჩაძაღვდებით, ან კლდეზე გადიჩებებით, ან ვისგანმე მოკლულ

იქნებით და ან სხვა რამ ხიფათი შეგემთხვევათო.

განა ამ გვარი შინაარსის წერილის შემდეგ საჭიროა კიდევ ვისთვისმე განმარტება, რა ბალის ხილია ბ. თ. ჟორდანია!

მას ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ მისი ბანოვანი მსაჯული, — ყოვლადსამღვდელო დავითი რომ უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ეს ყველასთვის ცხადი და ნათელია, გუბაზოურისპირელი.

ქველმოქმედება.

ვინ არ იცის, რომ ძველათ ქართველები დიდ ქველმოქმედებას ჩადიოდნენ. ყოველ კაცს პირზე ეკერა პოეტის სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“! დიდ მონასტრებს, ეკლესიებს შინ, თუ გარეთ, აშენებდნენ თავის სულის მოსახსენებლათ და უზრუნველ ყოფდნენ სხვადასხვა მამულით და შეწირულებებით. ამის მოწამეა მრავალი ეკლესია—მონასტრები და მათი ნაშთები ზედწარწერებით. განსაკუთრებით თავად—აზნაურობა ეწეოდა დიდ ქველმოქმედებას, რომელსაც პირველი ადგილი ეკავა ძველ საქართველოში. მაგრამ საუბედუროთ ამ ბრწყინვალე წოდებამ მეცხრამეტე საუკუნეში სხვა გვარ ცხოვრებას მიყო ხელი და არა თუ ქველმოქმედებას ეწეოდა, არამედ რაც მამაპაპეული წყევლა—კრულოვით შეწირული ქონდა ეკლესიას, უკანვე გამოსწირა და გაფლანგა. მეცხრამეტე საუკუნეში თვალსაჩინო ქველმოქმედება არავის არ ჩაუდენია, გარდა განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომელმაც მთელი თვისი ცხოვრება 50,000 მ. სწავლა განათლებას და ეკლესიებს დაუტოვა. მრავალი მდიდარი მემამულე გარდაიცვალა ამ საუკუნეში, მაგრამ საქველმოქმედოთ ერთი გროშიც არავის დაუტოვებია, არც სწავლა განათლებისთვის და არც ეკლესიებისთვის. მაგრამ მეოცე საუკუნეში კი აქა იქ იჩინა თავი ქველმოქმედებამ. მგ. სარაჯიშვილმა და ლოლობე-

რიდემ წასრულ წელში გვარიანა ფული და-
ტოვებს ქართულ საქმის და სწავლა განათლე-
ბის ასალორძინებლათ საქართველოში. აქა იქ
გაზეთებშიაც კვითხულობთ ხოლმე, რომ ზოგი-
ერთები ნივთებს თუ ფულებს სწირავენ ეკლე-
სიებს და სწავლა--განათლების საქმეს. ერთი მაგა-
ლითი ჩემ მრევლშიაც მოხდა ახლო--ხან. მატრო-
ნა ელისბარის ასულმა აბდუშელიშვილისამ და-
მიბარა ვნების კვირაში ქ. ქუთაისში და გად-
მომცა 300 მ. ღირებული ვერცხლით მოქედი-
ლი და ოქროში დაფერილი ქართული სახარე-
ბა თავის ქმრის სიმონ ნიკოლოზის ძის აბდუ-
შელიშვილის სულის საოხათ, რომელსაც დიდ
მადლობას ვწირავთ, როგორც ეკლესიის კრე-
ბული, ისე მრევლი.

დევანოზი ი. წერეთელი

საბლერის პასუხი.*)

(ტუჩკოვის წინადადება)

ამას წინეთ მე ვსთქვი, რომ სახელ. სა-
თათბიროს პატივისცემის გულისთვის მე არ გა-
მოუდგები რაღაც პირად ანგარიშებს-თქო. მაგ-
რამ ეხლა მე გაჩუმება აღარ შემიძლია, მიტომ
რომ ეკლესიის მტრებს მხარს უჭერენ ისეთი
ადამიანები, რომლებიც უცნაურ ფორმაში გა-
შოდნიან თავის ბრალდებებით. მე პირში ვეტ-
ყვი მათ, რომ იგინი მტყუანი არიან... (მარჯვ-
ნივ: „მართალია“). იგინი მტყუანი არიან, მი-
ტომ რომ არ აქვთ ფაქტიური ნიადავი და
ფიქრობენ, რომ შეურაცხყოფას აყენებენ წმ.
ეკლესიას, როცა შეურაცხყოფენ ადამიანს,
რომელიც ამ შეურაცხებაზე გაცილებით მაღ-
ლა სდგას. მაგრამ არა, იგინი წმიდა ეკლესიას
ვერ შეურაცხყოფენ! (საზოგადო ხმაურობა) და
ვერ შეურაცხყოფენ იმ უბრალო მოსახრებით,
რომ ამ საიდუმლოებით მოცულ უცნაურ,
გაურკვეველ სიტყვების დარბაისლურ არგუმენ-
ტებათ მიღება შეუძლებელია. სინოდის ობერ-
პროკურორმა იცის თავის მოვალეობა! იგი ყო-

ველთვის, მთელი თავის სიცოცხლე, ასრულებ-
და თავის მოვალეობას და, რასაკვირველია,
ეს გრძნობა თავის მოვალეობის შეგნებისა მე-
ფისა, წმ. ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე
ყოველთვის მის თანშობილ თვისებათ დარჩება.
ხოლო საიდუმლოებით მოცული, გაურკვევე-
ლი ბრალდებებით ვერასოდეს მას ვერ შეაშ-
ნებენ!...

სისუქე ყოველთვის თანხმობის ნიშანი
არ არის.

შარშან ორიოდ სიტყვით დავგმეთ ბ. სო-
ბოროს ლოტბარი და მისი ხორო. გამოვსთქვი
ის აზრი, რომ ხოროს ძირიან - ფესვიანა ექი-
ვრება გადაკეთებაო. ამაზე ვილაც ხოროსტ-
მა პასუხი მოგვცა და ბრალი დაგდვა, ვითომ
ჩვენ ნიქის სათავეშივე ჩაქრობა გვსურდეს. მკი-
რე პისუხის შემდეგ გავჩუმდით, ველოდით, რო-
დის გაიფურჩქნებოდა ბ. ლოტბარის ნიქი, რო-
დის იხეთქავდა დაგუბებული შორევი მისი
კოდნისა და უნარისა, მაგრამ ტყუილა ჩავგია-
რა ლოდინმა; ვერაფერი ამის მსგავსი ვერ შევამ-
ჩნიეთ ხოროს ცხოვრებაში, თუმცა ზოგიერთ
არა სასურველ პირების დათხოვნით და ახლის
შემომატებით რამოდენიმეთ განახლდა ხორო.
მთელი წლის განმავლობაში ერთი ხეირიანი,
ერთი სასოების მომგვრელი საგალობელი არ
გაგვიგონია სობოროში! შარშანდელი ჩვენი სა-
მართლიანი გულისწყრომა აღდგომის საგალო-
ბლებმა გამოიწვიეს. გვეგონა, წრეულს მაინც
აღარ გავიგონებდით ამ გალობის საცინლათ
ავდებას, გვეგონა ბ. ლოტბარი ყოველ ღონეს
იხმარდა, რომ ეს აღდგომის საგალობლები მა-
ინც ზედმიწევნით შეესწავლებია და დამსწრე
საზოგადოების სააღდგომო მხიარულება სასაცი-
ლოთ არ გაეხადა, მაგრამ მოეტყუედით. ჩვენ
არ გამოუდგებთ ბ. ლოტბარის და მის ხოროს
დაწვრილებით კრიტიკას. ეს არც საჭიროა, რა-
დგან ნაკლის ჩვენება იქ არის საჭირო, სადაც
გასწორების იმედია. აქ კი ყოველი გასწორების
იმედი დაკარგულია. ჩვენ არ გვწამს და ათასჯერ

*) იხ. ზინ. საქ. № 12—13.

არ გვწამს, რომ ხორც გამოკეთდეს. მხოლოდ ესთხოვთ სობოროს ლოტბარს შეიბრალოს მსმენელი და მლოცველი საზოგადოება. თუმცა ნათქვამი კია სულ არაობას ცალი ხარი სჯობიაო, მაგრამ ჩვენ, მლოცველებს, ერთი კაი მგალობელი მედავითნის ცალფა ლიღინი გვიჩვენია ოცი კაცის უთავბოლო სიცილის აღმძვრელ ღრიალს. გთხოვთ ნუ გეწყინებათ, როცა შართაღს მოგახსენებთ. იცოდეთ საზოგადო სარგებლობა გვაღაპარაკებს და არა რომელიმე პირადი ინტერესი. ფიცით ვამტკიცებთ, რომ სობოროში ლოტბარობა არ გვინდოდეს.

ხელი.

შინაური მიმოხილვა.

დასასრული.*)

საქართველოში სამართალიც ხომ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. 1868 წელს ჩვენშიც შემოიღეს ყმების გამათავისუფლებელის ალექსანდრე II ახალი სასამართლოები, რომლითაც „სწრაფი და სწორი სამართალი“ უნდა მინიჭებოდა განახლებულ ქვეყანას, მაგრამ ეს ყოველად მოწყალე ხელმწიფის მოძებნილი სამართალიც მეტის მეტად დამახინჯებული გამოდგა აქ.

საქართველოს მკვიდრს, არ ვიცით კი რატომ, ჯერ აქამდისაც არ ღირსებია ჩვენი ხალხის მიერ არჩეული ნათიკ მსაჯულთა სამართალი, არჩეული მომრიგებელი მსაჯულნი, ნათიკ ვეკილთა საბჭოები და თვის დედა ენაზე სასამართლოს წარმოება და სამართლის მინიჭება ხალხისთვის.

რეფორმების დროს საქვეყნოთ ის დიდი დედა-აზრი იყო აღიარებული, რომ მომრიგებელი მსაჯული მიუცილებლად, ადგილობრივი მკვიდრი უნდა ყოფილიყო, რადგან მკვიდრმა უფრო კარგად, დაახლოვებით და ზედმიწევნითაც იცის, რა თქმა უნდა, თვისი მშობელი

ხალხის ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ყოფა-ქცევა და ენა. ერთი სიტყვით, მკვიდრთაგან არჩეული მსაჯული ყოველთვის ქვეშაირის, საპასუხისმგებლო ადგილზეა და სწორ სამართალსაც აღიარებს მომჩივანს.

მაგრამ ქართველობას აქაც ბედმა უღალატა. მსაჯულნი შორიდან სრულიად ჩვენი ხალხისთვის უცხო პირები ინიშნებიან და ჩვენებური იურისტები ან დაბალ თანამდებობაზე არიან გამწესებულნი, ან უნდა განშორდნენ სამშობლო ქვეყანას და გადვიდნენ შორს უცხოეთში მსაჯულებად და ლუკმა პურის საშოვნელად.

ჩვენი სასამართლოებიდან ქართული ენა გადევნილია სრულიად. მოსამართლეს, მსაჯულს არა ესმის რა მომჩივანის და მოპასუხის, მოწმეებისაც ისე, როგორც ამ უკანასკნელებს არაფერი ესმით მოსამართლისა. ამიტომაც, მათ შორის დგას ყოველად უფიცი, რომელსაც ჩვენი ხალხი თარჯიმანს, უკეთ ვთქვათ „პრაუჩიკს“ ეძახის. აი, ეს „პრაუჩიკი“ ბრძანდება სწორეთ ის შუა კაცი, რომელიც საშინლად ამახინჯებს ქართულსაც და რუსულსაც და რომლის უფიცობის მეოხებითაც ბევრს ჩვენგანს სამართლის მაგივრად ჯოჯოხეთი თავს დასტეხია.

განა არ ესმის ბიუროკრატის, თუ რა უზომო ბოროტება მოაქვს ხალხისთვის ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას? ძალიან კარგადაც ესმის, მაგრამ მიზეზათ იმას დაასახელებს, რომ რუსის მოხელეებს არ შეუძლია შეისწავლონ და შეითვისონ ყველა ის ურიცხვი ენები, რომელნიც რუსეთის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე არსებობენო. ამ ყოველად უაზრო მსჯელობის მეოხებით ჩვენში დაკანონდა ის, რომ მოსამართლე ხალხისთვის კი არ ინიშნება, ხალხია გაჩენილი ამ ქვეყნად მოსამართლისათვის.

ამასწინათ ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ დაისტამბა ერთი საინტერესო სტატია ამ საგანზე, რომელსაც ჩვენმა პრესამაც ყურადღება მიაქცია. სტატიაში ის აზრი იყო გატა-

* (იხ. „შინ. საქ.“ № 12—13.

რებული, რომ მთავრობის მოხელეებმა დასავლეთ კავკასიაში უნდა იკოდენ ქართული ენა და აღმოსავლეთ კავკასიაში თათრული, რადგან მთელ კავკასიაში ეს ორი უმთავრესი ენა არის გაბატონებული. ამ სტატიის ავტორს სურს დაამტკიცოს რუსის მოხელისათვის კავკასიაში გაბატონებულ ერთ-ერთის ადგილობრივ ენის ცოდნის საჭიროება.

ავტორი სრულ ჰეშმარიტებას აღიარებს. როცა ამბობს, რომ დასავლეთ კავკასიაში გაბატონებულია უძველესი დროიდან დღემდე ქართული ენა. ჰეშმარიტებად არის აგრეთვე აღიარებული ყოველგან საზღვარ-გარეთის აზრი, რომ განათლებული სახელმწიფოს მოხელემ, მიუცილებლად, ადგილობრივი ენა ზედმიწევნით უნდა იკოდეს. ეს არც კოლონიის მცხოვრებლებს უკვირთ, არც მეტროპოლიის მცხოვრებნი სკდებიან ამით გულზე.

მაგრამ ჩვენში ხომ ყოველივე და ყველაფერი უკუღმა ტრიალობს... ერთი შეხედვით, რა ყოფა დაუწია „კავკაზში“ მოთავსებულ ამ სტატიის ავტორს რუსის ულტრანაციონალისტების ვაზ. „გოლოს კავკაზამ“. როგორ თუ ოფიციალური „კავკაზის“ ფურცლებზე წერთ რუსის მოხელეების მიერ ადგილობრივი ენების შესწავლის საჭიროებასო.

მართლაც ამასწინათ პეტერბურგიდან ცნობა იყო, რომ იქ კიდევ დაუარსებიათ საგანგებო კურსები, სადაც მომავალ რუსის მოხელეებს ასწავლიან თვით კავკასიელი „მეცნიერი“ კავკასიის ენებსო!..

ამ დროის ერთი საუკეთესო ქართული გაზეთი „თემი“ (№ 58. 1912 წ.) ამის თაობაზე სამართლიანად შენიშნავს: „ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ, თუ რა უცნაურობის ელფერი აქვს ყველა ამას, ეს „ზომა“ ხომ იმის შედეგია, რომ ადგილობრივი ელემენტი განდევნილია მოხელეობიდან და ნდობის ღირსად არ არის აღსარებული. ბიუროკრატიისთვის საჭიროა გაბატონებული ეროვნების „ერთგული“ მისიანი მოხელე მკოდნე ადგილობრივ ენისა და ამგვარ ელემენტებს იმზადებენ. აი, ამის წინააღ-

მდეგ მიდიან კავკასიაში მცხოვრები რუსის ულტრანაციონალისტები!.. ჯავრობენ თითქო ეს დაბეჩავებულ კავკასიის ერების შეზღუდულ უფლებათა გაფართოება იყოს!..

მოდით და ნუ გაგეცინება მწარე სიტყვით!

ორმოცდაათი წელიწადია აგერ თითქმის, რაც რუსეთში ერობა არის შამოღებული და ქართველობას იგი არ ეღირსა და არა. ეს საერობო თვითმართველობა იქ თავის მრავალგვარ საჭიროებისთვის ხარჯსაც თვითონ კრფის და თვითონვე ხარჯავს. ამიტომაც იქაურს დაბა-სოფლებში მეურნობის შესწავლისა განათლების და სამკურნალო დახმარების ასპარეზზე მეტად ბრძენი და გამოცდილი მოღვაწენი მოქმედებენ და მთელ რუსეთის ცხოვრებას აძლევენ ლაზათს და შნოს...

ჩვენში კი ერობა ჯერაც არ არის შემოღებული და მის მაგიერობას ასრულებს პოლიცია, რომელიც ყოველისთვის უკანტროლოთ განაგებს.

ჩვენებურ ქალაქებს ასე თუ ისე თვითმართველობა მაინც აქვთ და აქ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი ცოტათი მაინც ნებას აძლევს მოქალაქეს თავი გამოიჩინოს თვისი ნიჭით, ცოდნით და გამოცდილებით, რომ მშობელ ქალაქს რაიმე სარგებლობა და დახმარება აღმოუჩინოს.

ჩვენებური დაბა-სოფელი კი სრულიად უპატრონოდ არის მიგდებული. ამიტომაც, ქართველობა, რომელიც თითქმის რაც სოფლად ცხოვრობს, სრულიად დაყრუბებულია. იქ არც სწავლა-განათლებაა, არც მეურნობა, არც მკურნალობა და არც სხვა რამე სანუგეშო...

ამ მეტად გულსაკლავ მდგომარეობას ჩვენმა ახალმა მწერლობამ იმ თავითვე შეაქცია დიდი ყურადღება. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ დასწერა ქართულად სტატია „ერობა“, რომელიც მახსოვს, ცალკე წიგნაკადაც იყო გამოცემული.

მას შემდეგ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს არ შეუწყვეტიათ ამ საქირო საგანზე წერა.

ამასთანავე ჩვენმა თავად-აზნაურობამაც აღძრა შუამდგომლობა ამის შესახებ ოთხმოციან წლებში. ახლახან ხომ მეფის მოადგილემაც მოითხოვა, რომ ჩვენშიაც შემოღებულ იქნეს ერობა. სწორედ ამ საგანზე ორი წლის წინათ „შინაურ საქმეებშიაც“ იყო დასტამბული ცალკე სტატია. ერთი სიტყვით, გაზეთიც არ დაარსებულა ჩვენში, რომ ერობაზე არ დაეწეროს სტატია. ალბად, ეს დაჟინებითი წერა და მოთხოვნაა მიზეზი, რომ ერობის ღირსად არა გვთვლიან...

ჩემი ფიქრით, ჯობია საქმისთვის, რომ სულ ხმასაც არ ამოვიღებდეთ ამ საგანზე...
გულკეთილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. თედორე ჟორდანიას წერილის გამო *.

წერილი პირველი.

მამო რედაქტორო!

გთხოვთ ქვემოთ დაწერილს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში.

ამა წლის შინაურ საქმეებში (№ 12—13) ნაქულბაქვევლ მოძღვრის წერილის გამო (იხ. ამავე გაზეთის მეცხრე ნომერი) ბატონი თედორე სწერს, რომ „ფოთის სასაფლაოს ერთკლასიან სამრევლო შკოლაში სწავლის კანონი არ ირღვეოდა, სწავლა იქ პროგრამაზე მიდიოდა და რომ ის, ჟორდანია, ამ შკოლაში გარუსების გზას დადგომოდა, შკოლის გამგე, მამა კლიმენტი ჭანტურაია, როგორც ვალდებული, ესრეთს უკულმართობაზე მოახსენებდა მას, ჟორდანიას, ხოლო ეს უკანასკნელი საბჭოსო“. თუ როგორ წარმოებდა ამ შკოლაში რუსული ენის სწავლება, ამაზე თვით მასწავლებელი გასცემს პასუხს. ჩემის მხრით კი მოვახსენებ ბ. თ. ჟორდანიას, რომ ხსენებულ შკოლის გამგედ მე დაეინიშნე 1902 წლის 8 ოქტომბრიდან; შკოლაში ასწავლიდა მაშინ (და ეხლაც) ბატონი პეტრე ქუთათელაძე, მასწავლებელი, მოწონებული მეთვალყურებიდან

*) იხ. „შინაური საქმეები“ № 12—13.

და სტუმრად ჩამოსულ უმაღლეს სასულიერო ბირებიდანაც. პროგრამაზე ასწავლიდა ის თუ არა—ამაზე მსჯელობა, დაწუნება თუ მოწონება, ჩემი საქმე არ იყო. შკოლაში ნახულობდენ მეთვალყურენი,—დასაწუნი მათ უნდა დაეწუნებიათ. რა ნაირად მიდიოდა სწავლის საქმე, ეს ნათლად გამოირკვეოდა იმ რვეულებიდანაც, რომლებსაც მასწავლებელი ქუთათელაძე, თანახმად მოთხოვნილებისა, უდგენდა ქ. ფოთში ბ. თედორე ჟორდანიას, ხოლო ეს უკანასკნელი საბჭოს. მე სხვა რამე მაწუხებდა მაშინ, მაწუხებდა ის, რომ შკოლას საკუთარი ბინა არ ქონდა და რაც ქონდა ისიც უხეირო (ვერ გშოულობდით) და ხშირად სერბიელებივით ბინას ვიცვლიდით. ვეწვალეთ, ვიმეცადინეთ მე და მასწავლებელმა და ღმერთმა შეგვიბრალა, დღეს შკოლას საუკეთესო საკუთარი ბინა აქვს—ქვის შენობა, ღირებული ათი ათას მანეთად. 14 აპრილს 1912 წ.

გამგე შკოლისა დეკანოზი

კლემენტი ჭანტურაია.

წერილი მეორე.

მამო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში 1912 წ. მე 12—13 ნომრებში მოთავსებულია ბ. თ. დ. ჟორდანიას წერილი „საარაკო უკულმართი მსჯელობა“ (პასუხად ბ. ნაქულბაქვევლ მოძღვარს), რომლის გამო იძლეუბული ვარ ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას შემდეგი: სრული კეშმარტებაა, რომ ფოთის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო შკოლაში რუსული ენის სწავლება სწარმოებდა ისე, როგორც ეს ბ. ნაქულბაქვევლ მოძღვარს აქვს გაზ. „შინაური საქმეების“ მე 9-რე ნომერში აწერილი. ეს გარემოება კარგად იცოდა მაშინდელმა მეთვალყურემ ბ. თ. დ. ჟორდანიამ, მაგრამ ერთხელაც არა უთქვამს რა. ვაცხადებ, რომ ფოთის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო

შკოლაში ყოველივე სრულდებოდა თანახმად საეპარქიო მეთვალყურის სიტყვიერი განკარგულებისა და წინადადებისა. რომ ეს არ ყოფილიყო მასწავლებელიც არ ჩაიდენდა ამ უკუღმართობას და თუ ჩაიდენდა — მეთვალყურის რისხვას დაიმსახურებდა. რომ რუსული ენის სწავლება ეგრე სწარმოებდა ამის ბ. თ. დ. ჟორდანიას კარგად ხედავდა სამივე განყოფილების რვეულებში, მაგრამ, ვიმეორებთ, ცვლილება არაოდეს არ შეუტანია. რვეულები (როგორც რუსული ენის, ისე ქართულის) თანახმად ბ. თ. დ. ჟორდანიას ბრძანებისა, უნდა წარმედგინა თვეში ორჯერ-სამჯერ მათთვის ჯერ სასტუმროში*), სადაც გაჩერდებოდა, და მერე კი საეპარქიო საბჭოში, სადაც სხვებთან ერთად ათვალეირებდა მოწაფეების ნაწერებს. ეს გარემოება კარგად ეხსომებათ მაშინდელ საეპარქიო საბჭოს წევრებს: დეკანოზ მ. არსენ თოხაძეს, დეკ. მ. კლიმენტ ქანტურაიას, მღ. მ. ვარლამ მახარაძეს, მაშინდელ საბჭოს საქმის მწარმოებელს ბ. ნიკო სიმონისძე ნამიჩივიშვილს და საბჭოს კანცელიარის მოსამსახურეს მღ. მ. ალექსი გაბისონიას, რომელსაც ძალიან ხშირად მოქონდა რვეულები საბჭოს კანცელარიიდან შკოლაში. უმორჩილესად ვთხოვ ყველა ზემო აღნიშნულ პირთ გახეთის საშვალეებით დამიმოწმონ ეს.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი ჯგუფი ჩვენს შკოლაში არ ყოფილა. ან შეიძლება სამ განყოფილებასთან რაიმე ჯგუფის გახსნა?!

მასწავ. პ. ქუთათელაძე.

*) ბ. თ. დ. ჟორდანიას მაშინ ცხოვრებდა ქ. ქუთაისში, ფოთში კი ჩამოდიოდა მაშინ, როცა საბჭოს სხდომა იქნებოდა დანიშნული.

რედატორი მღვდელი სიმონ მახალაძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ეკლესიების ხატების და კანკლების მსურველთ, რომ მაქვს გახსნილი

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ **ლოლუას** შენობაში



სამხსოვრო

საფუოები,



სადაც მზადდება და გამზადებულებიც მაქვს ხატები და კანკლები და ზაკაზებსაც ვღებულობ. ბეს არ ვღებულობ. ზაკაზებს შევასრულებ მისის შეუფუების ეპისკოპოსის მოსაწონს და მის მიერ მიწოდებით კომისიის მოწონებულს, მაშინ მივიღებ გარიგებულ ფულს. თუ რამოდენიმე დაგაკლებათ, გენდობით რამოდენიმე ხნით. ჩემთან არ მოტყულებით, ბატონებო; ზაკაზებს ვასრულებ დაკლებულ ფასებში და საშვალეებსაც გაძლევთ. ამით სჩანს ჩემი ბეჯითობა. მაქვს ნებართვა ექვსი ეპისკოპოსისაგან: 1) გაბრიელისაგან, 2) ბესარიონისაგან, 3) ბენიამენისაგან, 4) ალექსანდრესაგან, 5) დიმიტრისაგან, 6) გიორგისაგან. ამ ზემოთმოსყენებულებმა ეპისკოპოსებმა სათითაოთ განიხილეს ჩემი ატესტატი, ხატები და კანკლები მოიწონეს და ნება დართეს 1912 წლამდის მომიწყვია 83 ეკლესიების ხატები და კანკლები და ერთი მომიჩივანი, ან უკმაყოფილო არავინ მყოლია.

აწი უმეტრო იმედოვანი ვარ შეეხატული ზაკაზები, რადგანაც დიდი გამოცდილი ვარ და სხუეფთვის მხატვარსაც ვიქერ. ნება დართული დედანი მაქვს. ამ დედანებიდან ესატაეთ და დაწყობო, ზოგიერთი მხატვრები მევის ტყულის ახეობენ, მით მართებენ შიულომებს. არა, ბატონებო, ტყუილია. იმასთან მიბრძანდით, ვინც თქვენი ერთგული და ზაკაზის შემსრულებელი იყოს.

სკენდისიასთ შესასრულებელი ზაკაზების.

იოსებ მალაქიასძე ბაბუნაშვილი.